# ცისკარი

**1858**

ივლისი. წიგნი მეშვიდე.

ტფილისი.

ჰენკელიძის ტიპოგრაფიაში.

## სია

# 1858 წლის «ცისკარზე» ხელის-მომწერთა. (*)

---

### ტფილის-ში:

1. თ. ვასილ ბებუთოვი.
თ. გრიგოლ ბებუთოვი.
თ. გიორგი მუხრანსკი.
თ. გრიგოლ მუხრანსკი.
იაკობ ზუბალოვი.
იოსებ მამაცოვი.
ივანე მიზოევი.
თ. ყორხმაზ მელიქოვი.
თ. გიორგი დ. ერის-თავი.
10. ლუკა ისარლოვი.
გრიგოლ აივაზოვი.
თ. კონსტანტინე მელიქოვი.
თ. იასე ენდრონიკოვი.
ალექსანდრე ბეზირგანოვი.
კნ. მარიამ ჭავჭავაძისა.
თ. ივანე ჩოლაყაევი.
კნ სალომე ენდრონიკოვისა.
თ. ივანე მელიქოვი.
თ. დავით ციცის-შვილი.
20. კნ. ნინო ორბელიანისა.
კონსტანტინე მამაცოვი.

(*) რომელთაც პირველად მოუწერიათ ხელი, ისინი პირველად მოხსენებული არიან, ხოლო შემდგომნი, [illegible] მიხედვით.

## იას

მი ვმტროვი იავ, შენსა ყვავილსა
გაზაფხულისა, ცვრით დანამულსა,
რომ ბუჩქთა შორით, თავ მოდრეკილი
გამოიმზირვი მინაზებული!
მაგრამ ნეტავი, მეცა შენსავით-
მოსვენებითა, ბუჩქიდამ მალვით
სოფელსა ვსჭვრეტდე, ცივსისხლოვნებით,
რომ არ ვიტანჯო, ესრეთის გრძნობით...
ნუ თუ, ყვავილო! შენცა ჩვენსავით
გული გიძგერდეს ტრფობისა ალით?
იმისთვის ხარ დაღრუმულადა
იმიტომაც ფერმიხდილადა?

თ. რ. შ.

1849 წელსა. აპრილის 5-სა. ს. გ.

1.

## შავ თვალებს

---

ვერვინ შეიტყობს, ვერვინ მიხვდების
სადაურს მალვის შავის თვალების!
როგორა ჰსდაგვენ, როგორ მკვირცხლობენ!
საამოს სახით ვით ელვარებენ!
სიცოცხლით სავსე გრძნობა გულისა,
გრძნობაც ნამდვილი სიყვარულისა,
ცხადათ ჰსჩანან შავსა თვალებში
როგორც რომ სახე წმინდის სარკეში.
ვიშ, როგორ მატკბობს, ვით მაცხოველებს
ის ორნი მზენი სიყვარულისა,
რამდენსაც ვუმზერ იმ შავსა თვალებს
არ მომწყინდების თქვენი გულისა!

თ. რ. შ. გ.

1851 წელსა. ივლისის 12-სა. ქ. თ.

---

## ყაზიბეგის-მთას

---

(ლერმონტოვიდამ)

ისწრაფვს რა ჩრდილოთ შორისა გზიდამ,
ყარიბი ვინმე უცხოსა მხრიდამ,

აღმოსავლეთის, ეჰო, ქუაშაყუში!
სალამსა გიძღვნი ყოველთად ყმიმო.
საყვარნითვან მოიხსენე შუბლი
თეთრის რიდეთი გაქვს დაბურვილი,
რაც უნდა კაცმა ამაყად გმოსახოს
შენს ბნელის მშვიდობას ვერ რა შეახოს.
გარნა გულისა ჩვილითა იხოვათა
შენთ კლდეს შევევედრებ წარიყრონ მათა
ვარსკვლავთზე სადგურს, შენს სამკვლო-
ბელოს
მას საყვარლის ადგილის საფანფოს...
ვილოცავ ვევედრი მე გორისა დღესა
მტვრიანსა გზაზედ სიცხისა დროსა.
თავშეყუვარებს ამ ყულის არს
რომ შევიხვეწო მტირელი მე კლდეს:
კვალად ამას გთხოვ, რომ ქარიშხალმა
საშიშარის ხმით მძაფრ მომბერალმა
დარიელისა ბნელის ხეობაში
არსად მომასწროს საზრალოს გარში.
მაგრამ ვიდევ მაქვს ერთი სურვილი....
ვსთქვა, მეშინიან... მამოწყენებს სული...
ვაი... თუ რომე...
ვარ სრული სამშობლოს დავიწყებული!
განა წინასაღდელით ტკბილითა ხვევნათა,

ვიდევ ვიპოვნი გულით ალერსთა?
მიცნობენ განა კვლავ მეგობარნი,
ან ნათესავნი ანუ თუ ძმანი?
ყარიბსა კაცსა სად ესდენ წელნი
განვატარე მე ტანჯვითა მწველნი!
ანუ საშუალი ცივთა საფლავთა,
ფეხთა დავადგამ მშობლისა მტვერთა,
ან ნათესავის, ან მეგობრისა
ვისთანაც მქონდნენ დღენი შვებისა?
ოჰ! თუ ესრეთ არს... შენისა ზუქით
მალე დამფარე, რომ მზე თვს შუქით
აღარ მიჭვრეტდეს შეუბრალებლად
ყმელი მტვერი განმფანტე ობლად!

თ. რ. შ. გ...

1853 წელსა. იანვრის 10-სა. გროზნა.

## მოქმედება 3.

### გამოცხადება 1.

(კოროლის სასახლე.)

კოროლი, დედოფალი, პოლონი, ოფელია, როზენ-კრანცი, გილდენშტერნი.

კოროლი.

მაშ ვერ შეიძლით თქუენ მარჯვის საუბარით შეჩმტყოთ მიზეზი ჰამლეტის მოშლილობისა, და რამ შთაგდო მშვიდობიანი გონება მისი ესრეთ მძიმე და საშიშს უგონობაში?

როზენკრანცი.

ჰამლეტი სიგიჟესა ჰგრძნობს, მაგრამ არ გვითხრა მიზეზი.

გილდენშტერნი.

არცაკი მიგვიკარა, რომ მივახლებულ ვიყავით მისს ჰაზრთან. ოდეს ვიწყებდით იმაზე სიტყჳსა, ჰამლეტი მარჯვეთ შეცვლიდა ხოლმე სისულელეს უგუნურობაზე..

დედოფალი.

მაინც როგორ მიგიღოთ?

როზენკრანცი.

მეგობრულად და კეთილშობილურად.

გილდენშტერნი.

მაგრამ იქცეოდა როგორათდაც იძულებით.

როზენკრანცი.

თჳთ არას გვკითხავდა, ჩუენს კითხვასაც მარჯვედ არიდებდა.

დედოფალი.

მაინც ვერ დაიყოლიეთ, რომ გართულ-იყო?

როზენკრანცი.

დედოფალო! ჩუენ შეგვხვდნენ გზაზე აკტიორები; ამაზე ჰამლეტს უთხარით, და, ვგონებ, შეიტყო რა ეს, კმაყოფილი დაშთა. აკტიორები აქ, სასახლე-შია, გახლავან, და, მიიღეს, თუ არ ვსცდები, ბრძანება დღეს წარმოგიდგინონ თქუენ კამედია.

პოლონი.

სწორედ ეგრე გახლავსთ. პრინცმა ჩამაბარა, გთხოვთ თქუენ, დიდს-ჴელთ თქუენის დასწრებითა.

კოროლი.

მე სიხარულით ვიქმნები. დიდათ მოხარული ვარ, რომ ჰამლეტს ამაზე მაინც აქუს სურვილი. უფალნო! გთხოვთ თქუენ, ეცადნეთ გაუძლიეროთ მას მიდრეკილობა ამ გვარ შექცევისადმი.

როზენკრანცი.

ვეცდებით აღვასრულოთ.

(როზენკრანცი და გილდენშტერნი მიდიან.)

კოროლი.

ეხლა გერტრუდა, დაგვიტევე ჩუენ. აქ მოვიყვანეთ ჰამლეტსა და, ვითომც, შემთხვევით შეხვდება იგი ოფელიასა; მე და პოლონი (მოტყუების ნება გვაქუს კეთილისათჳს.) აქ მივეფარებით, და ორნივე უხილავნი ვეცდებით შევნიშნოთ, და შემდგომ გან-

ვხადოთ უბნობისამებრ — ოფელიის სიყუარულმა, თუ სხუა რამ გააგიჟა ჰამლეტი.

დედოფალი.

დავემორჩილები თქუენ. ოფელია! როგორ მსურს, რომ სილამაზე შენი იყოს მიზეზი ჰამლეტის უგუნურობისა! მოიმედე ვარ, რომ ვითარცა მშვენიერისა სულისა შენისა მაშინ ადვილად მოიყვანდა მას გონებაზე ერთმანეთის ბედნიერებითა.

ოფელია.

თუ რა შემეძლებოდეს... (დედოფალი მიდის,)

პოლონი.

ოფელია! ვითომ შენ აქ დასეირობ... თუ თქუენს დიდებულობას ნებავს აქ მოუფარნეთ.. შენ ვითომ წიგნს ჰკითხულობ, ეს იგი ვითომ მიზეზია შენის სეირნობისა... რაც გინდა სთქვი, საგანი კი გარდაწყვეტილია, რომ თითქმის ეშმაკიც აცთუნს, თუ მარხულის პირით თავი მოიმდაბლა...

კოროლი, იქით.

ოჰ რა მართალია! ჱ რასახით ეს სიტყუა ჰკაწრავს სინიდისსა ჩემსა! პირისახე გარყუნილის დედაკაცისა, ფერ-უმარილით დაფარებული, ეგოდენ არ არი საშინელი, როგორათაც ჩემი საქმენი დაფარულ არიან ყვავილოვან სიტყუებითა! ჵ მძიმე ტჳრთია!

პოლონი.

მოდის. კოროლო! გნებავსთ, აქ მიეფარნეთ-მობრმანდით — აქ...

(იმალებიან ორნივე, ოფელია დგას კედლისაკენ.)

ჰამლეტი, გამოდის.

ვიყოთ თუ არ ვიყოთ — აჰა რასა ვიკითხავ. რა-უფრო სიქველე-ა სულისათვის: მოთმენა ცემათა განმამწარებელისა სვესი, თუ აღჭურვა წინააღმდეგომ ზღვისა ბოროტებათა და დამლევა მისი, ამოვსწყვო რა ერთიანათ? სიკვდილი — მიძინებაა-არა მეტი, და დასრულება ძილითა გულის გნებათა, ათას ტანჯვათა, სხეულის მემკვიდრეთა-როგორ არ ვისურვოთ ესრეთი დასრულება!.,. სიკვდილი, მიძინებაა — მიძინება, იქმნება, მოზმანება? აჰა გაჭირება? ამ სასო-ძვლინე ძილში, რადა სიზმრები გვექმნება, ოდეს ქარიშხალი სიცოცხლისა გავჰფრინდება? აჰა დაბრკოლება, აჰა რასათვისცა უფრო გვინდა ვეთრიგნეთ გრძელ სიცოცხლე-ში და ვინდა მოითმენდა წყენასა, სოფლის სიბოროტესა, ტირანთ ამპარტავნობასა ძლიერთაგან შეწუხებასა, უგულვებელ-ყოფილ სიყვარულის ნაღველსა, რჯულის ურცხვობასა, მსაჯულთ უსჯნიდისობასა, და შეურაცხ-ყოფასა სულგრძელთაგან ნამსახურობისა ზაკვისათვის, ოდეს ერთის დაკვრით მივიღებდით განსვენებასა! და ვინდა აიღებდა ამ ტვრთსა მძიმის სიცოცხლისასა, ტირილით, წუხევით.,. მაგრამ შიში: რა იქმნება მერე? — იქ, იმ უცნობ მხარეს, სითგან არ ვინ მოსულა.. თრთის ნება და მწარედ გვაიძულებს ვიტანჯნეთ, და შეგვაყენებს, რათ არ მიველტოდეთ მათდა, რაცა არს ესრეთ უცნობელი. საშინელის შეგონება მოშიში ფიქრისა! მთენარე ფიქრიცა ძლიერისა განჩინებისა გაიცრიცება წინაშე სიბნელისა განსჯისასა, გამბუ-

დაობმაცა ჩქარის აღფრთოვანებისა იღუპება, ჰაზრიცა არ გარდავალს საქმეში... წყნარა! სასურველო ოფე-ლია!.. ჵ ნიმფავ? მოიხსენე ცოდვანი ჩემნი ლოცვა-ში!...

ოფელია.

პრინცო, ხომ კარგა ხართ?

ჰამლეტი.

უმორჩილესად გმადლობ—კარგათ ვარ.

ოფელია.

პრინცო! მე დიდი ხანია უნდა დამებრუნებინა თქჳენთჳს, რაცა თქჳენ მიბოძეთ სახსოვრად; ნება დამრთეთ...

ჰამლეტი.

არა, არა! ოფელია, მე შენთჳს არაოდეს არა მიჩუქებიარა!

ოფელია.

პრინცო, უთუოთ დაგვიწყებიათ; საჩუქრები ესრე-თის საყვარელ სიტყვით გიბოძებიათ თქჳენ, რომ ჩემთჳს ძჳრფასნი იყვნენ; შეცვლილხართ თქჳენ—ისევ მიიღეთ—საჩუქარი მაშინ არის ძჳრფასი სულისა-თჳს და გულისათჳს, ოდეს სული და გული მოსცე-მენ. აჰა, პრინცო, თქჳენი საჩუქრები.

ჰამლეტი.

ჰა, ჰა, ჰა! ოფელია, პატიოსანი ქალი ხარ?

ოფელია.

პრინცო!

ჰამლეტი.

ლამაზიცა ხარ?

ოფელია.

რა გნებავსთ ჰსთქვათ, პრინცო?

ჰამლეტი.

ისი, რომ თუ ხარ პატიოსანი და ლამაზი ქალი, მაშ ნუ ავაჭრებ შენს სილამაზეს კეთილ მოქმედებასთანა.

ოფელია.

მაშ ვინდა იქმნება სილამაზის უკეთესი ამხანაგი, თუ არ კეთილ-მოქმედება?

ჰამლეტი.

მართალია, მაგრამ ის არის ჭირი, რომ სილამაზე უფრო ადრე გააპლუტებს კეთილ მოქმედებასა, ვინამ კეთილმოქმედება გაამაგრებს სილამაზესა: ამაზე ადრე ვიჭვნეულობდი — ეხლა კი აღარ ვიჭვნეულობ. შენ მიყვარდი ადრე!

ოფელია.

მე მრწამდა, პრინცო.

ჰამლეტი.

უბრალოთ, ამიტომ რომ კეთილმოქმედებანი არ ემყნობიან დამკველებულ ხესა-წარსული არდა-ა-შენ მე არ მიყვარდი!

ოფელია.

მე ვსცთებოდი...

ჰამლეტი.

განშორდი, ოფელია, კაცთა! რათ გინდა შენის თავით გაამრავლო რიცხვი ცოდვილთა? აჰა მე კიდევ ვარ წესიერი კაცი. მაგრამ მზა ვარ გავამტყუნო თავი ჩემი ესრეთ ცოდვებში, რომ უკეთეს იყო არ

დაჯბადებულო ყოფავ! მე ხარ ამპარტავანი, შეურის მგზნებელო, მატყუარისმოყვარეო, მზა ქმნად ბოროტისა, მხოლოდ მაგლის სრულდი ნება გწყურს ყოველივე ბოროტი, რა ბოროტებისცა შემძლეიან მოიგონოიქრო. რა გამოვა ამ გაცისაგან, რომელიცა დამგვრება შორის ცისა და დედამიწისა! ჩვენ ყოველნი აგი-გაცნი ვართ, ნუგეშავს ნუ დაუჯერებ. გაშორდი გაცთა! სად არის მამა შენი?

ოფელია.

შინ არის, ბრინცო.

ჰამლეტი.

კარები გადუკეტე და არ გამოუშვა — დაუხსენ შინ ისულელოს. მშვიდობით!

ოფელია.

მოწყალეო ღმერთო! შეეწიე ჰამლეტს.

ჰამლეტი.

თუ გათხოვდები, მე გაძლევ მზითევად ამ როგორ წყევასა: გინა იყო თეთრი, როგორათაც თოვლი, წმინდა, როგორათაც ყინული — მზაკვრებენ გაცთა გაგაშავებენ შენ. გაშორდი გაცთა, ანუ შეირთე სულელი. გონიერთა მალიან კარგა იციან, როგორათაც თქვენ მათ ამხეცებთ. მოშორდი გაცთა საჩქაროთ! მშვიდობით!

ოფელია.

ზეცის ძალნო, განჰკურნეთ ჰამლეტი!

ჰამლეტი.

მე ვიცი, როგორათაც ჰღებავთ თავსა თქვენსა. ღმერთი გაძლევსთ პირისახეს, თქვენკი იკეთებთ

ხნჳას — იქჳყნ მთამაშობთ. ხტით, ბოროტმეტყუე-ლობით და ამას წყობთ ვითომც უცოდინობით. გამ-შორდი — ხმა აღარ ამოიღო — მაგაებმა შემშალეს მე ჭკუისაგან! ამას იქით ვერ ვინდა იქორწინებს; ვინც იქორწინა დაეხსნენ იცოცხლონ — გარდა ერ-თისა... გაშორდი კაცთა. (მიდის.)

ოფელია, მარტო.

რა დიდი კაცი დაინთქა, სამეფოს იმედი, შატრევე მისი, ნუგეში! დაინთქა, დაინთქა! და მეც, მეც, მისი ალებრიკის სიყუარულის საგანი, ვხედავ მას შეშლი-ლსა! რა იყო, და რადასა ვხედა, ოჰ ღმერთო!

---

კორილონი და ბოლონი.

კორიდი.

არა! ეს სიყუარული არ არის, არ არის უბნ-ნუობა ისი, რაცა ჰსთქჳა, თუმცა გაუწყობლად, ჰამლეტმა. მის სულში დაიფარება რაღაც-რამ- და მის მწუხარება ჩუარავს დანთქმასა; ჩუჱნ უნდა წინა უსწროთ ჭირსა. ესრეთ, გარდაწყვეტილია ჰამლეტი წავა ანგლიაში, სადაცა ხარჯის აკრეფას ჩავაბარე-ბთ ჩუჱნ; იქმნება გასეირნობამ, გართობამ გარდუ-ყარონ ნაღველი, დაუბრუნონ გონება. შენ როგორ ჰფიქრობ ამაზე, ბოლონი?

ბოლონი.

მე ვგონებ — მშვენივრათ მოიფიქრეთ. მაგრამ მაინც მე დარწმუნებული ვარ, რომ დასაბამი მისის

სიგიჟისა იყო სიყუარეული.—ჩვენ არ გვინდა, ოფელია, განგვიმეორო რაცა ჰსთქვა ჰამლეტმა-ჩვენ იქიდგან უოველივე შევიტყვეთ.—ინებეთ, ჩემო ბრძანებელო, მოიქეცით როგორათაც თქვენ გნებავთ, ჩემი რჩევაა: შემდეგ კამედიისა მოუწოდეთ ჰამლეტსა დედოფალთან, დაეხსენ დედოფალმა გამოჰკითხოს მას. მე კი, თუ რო ნებას მამცემთ, მივიმალვი იქ, ყურს დავუგდებ, და თუ ვერა რას გამოვაჩენთ, მაშინ ანგლიაში გავგზავნეთ წარინცე, ანუ საპყრობილეში დასვით, როგორათაც თქვენი სიბრძნე დაინახავს.

კოროლი.

დიახ, ჩვენ ვნახავთ—უნდა თავს გამოვიდგვათ. მძლევრსა უგუნურსა საშიშია მივცეთ თავის-უფლება.

(მიდიან.)

---

## გამოცხადება 2.

(მეორე ზალა სასახლეში.)

ჰამლეტი და რამდენიმე აკტიორნი, გამოდიან.

ჰამლეტი.

თქვენ უოველივე ეგრე მარტივად, თავისუფლად, ნუ დაჰკაკუნავ ჰაერსა, და თვით გრძნობაში დაიცვე ზომიერება, ნურცა მომატებულად გაატკბობ. ეცადეთ იმოქ [illegible] სიტყვა ეთანხმებოდეს მოქმედებასა,

და მოქმედება სიტყვასა. იყავ სწორე სარკე ბუნებისა: წარმოადგინე სათნოება ნამდვილ მისის სახე-დურებში, და ბიწი მისის სახიჩრობაში. წადით და იყავით მზათ. (აკტიორები მიდიან.)

ამლეტი, პოლონის, რომელიცა გამოდის და მას შემოხვდებიან როზენკრანცი და გილდენშტერნი.

აბა, რა? ნებავს კოროლსა დაესწროს კამედიაში?

პოლონი.

დიაზ, დედოფალიცა, და მთელი მათი კარი იქმნებიან.

ჰამლეტი.

მაშ უბრძანეთ მოემზადენ ჩქარა. (პოლონი, როზენკრანცი და გილდენშტერნი მიდიან.)

ჰამლეტი, გორაციოს, რომელიცა გამოდის.

ჰა, შენ ხარ, გორაციო.

გორაციო.

თქვენ დაგებარებინეთ.

ჰამლეტი.

დიახ, მე მინდა მოგთხოვო შენ, გორაციო, დიახ საკუთრად შენ მინდა მოგთხოვო სამსახური.

გორაციო.

საყვარელო პრინცო!...

ჰამლეტი.

არა! მე პირს არ გეფერები — და რისა-თვის უნდა დაგეფერო შენ? შენ ხარ საწყალი, არცა ხარ წარჩინებული. წინაშე მდიდრისა და წარჩინებულისა ხალხს მუხლი ეკეცება, პირითგან გამოდის თაფ-ლი — მე მისთვის მიყვარხარ შენ, რომ იცი მოთმი-ნება. ბედნიერებაში, უბედურობაში თანასწორი ხარ,

გორაციო! ჩემს გულში მივცემ ბინას ესრეთს კაცსა მაგვარს, საკმაოა.—აქ კამედიას წარმოადგენენ: ერთს გამოცხადებაში აქ გამოხატვენ, ნამდვილად, მამისა ჩემის სიკუდილსა. მეგობარო ჩემო! გთხოვ-დეს ეს გამოცხადება იყოს, გულმოდგინედ თჳალთ ადევნო კოროლს-ბიძა ჩემს — გთხოვ, გულმოდგი-ნედ. თუ იმ წამს კოროლი არ შეძრწუნდება-მაშ მოჩვე-ნება იგი იყო წყეული ჯოჯოხეთის სული, რომე-ლმან გამომცხადა მე; ცოდვაზე მივყვანდი! გულმო-დგინედ, მეგობარო ჩემო! მეც თჳალს არ მოვაშო-რებ ბიძა ჩემს, და ვნახოთ.—

გორაციო.

არცა ერთი მოძრაობა კოროლისა არ ასცდება თჳალსა ჩემსა.

ჰამლეტი.

მოდიან! მე უნდა დაუდევნელად ვეჩვენო, შენკი, გორაციო, იდარაჯე-წადი.

---

მუზიკა უკრავს მარშს. კოროლი, დედოფალი. პო-ლონი, ოფელია, როზენკრანცი, გილდენშტერნი, კარის კაცნი და ქალნი.

კოროლი.

ხომ კარგა ხარ, საყჳარელო ჩჳენო პრინცო.

ჰამლეტი.

ჩინებულად! როგორათაც ქამელეონი, მე ვცხო-ვრებ ჰაერითა და ვსუქდები აღთქმათაგან. თქჳენი

მეგორულები დახლეჩრდნენ ამ საზარელისაგან.

კოროლი.

მე არ მესმის შენი ენა, ჰამლეტო. ეგ ჩემი ენა არ არის.

ჰამლეტი.

არცა ჩემია. (პოლონის.) მგონია, პოლონი, შენ ჰთამაშობდი ხოლმე კამედიასა? უნივერსიტეტში?

პოლონი.

დიახ, პრინცო, მე ვიყავ ნაქები აკტიორი.

ჰამლეტი.

რას ჰთამაშობდი?

პოლონი.

იული კესარსა. მე დამკლა ბრუტმა კაპიტოლში.

ჰამლეტი.

ნამდვილ. ბრუტი ყოფილა ის, ოდეს დაუკლავს ესრეთი გასუქებული ხბო! აბა! რას იქმონენ ჩვენი აკტიორები?

როზენკრანცი.

ელიან ბრძანებასა.

დედოფალი.

ჩემთან დაჯექ, საყვარელო ჰამლეტ.

ჰამლეტი,

არა, დედილო — აქ არის მაგნიტი, რომელიცა მიმიზიდავს.

პოლონი, კოროლს.

შენიშნეთ!

ჰამლეტი, დაჯდება ოფელიას ფერხთან.

შეიძლებაა შეგეხნეთ თქვენს მუხლებსა?

ოფელია.

არა, პრინცო.

ჰამლეტი.

მ'ე იგი, მხოლოთ თავით.

ოფელია.

შეიძლება, პრინცო.

ჰამლეტი.

თქჳენ კი, ღმერთმა იცის, რა იფიქრეთ!

ოფელია.

მე არას ვჰფიქრობ, პრინცო.

ჰამლეტი.

რა განცხრომა-ა განსჳენება მშჳენიერის ქალის მუხლებ-ზე?

ოფელია.

რა გნებავსთ ჰსთქჳათ?

ჰამლეტი.

არაფერი.

ოფელია.

თქჳენ მხიარულათ ხართ, პრინცო.

ჰამლეტი,

ჳინ? მე!

ოფელია.

დიახ, თქჳენ, პრინცო.

ჰამლეტი.

დიახ, მე ვკეთდები თქჳენ მასხარათ. მხიარულობა-ზე რადა-ა უკეთესი! უყურეთ დედა ჩემს-როგორ მხიარულათ არის. მამა ჩემი კი გარდაიცჳალა ორ საათის წინ.—

ოფელია.

თუ არ თავის წინათ, პრინცო.

ჰამლეტი.

მაშ, რადა, დიდ ხანს გაუვლია? კარგი — მე თვით მაცვია შავები, იმიტომ, რომ ძალიან მიხდება. იტყვით თქუენ ორი თვეა და კიდევაც არ არის დავიწყებული! მაშასადამე, შეიძლება გიმედოვნობდეთ, რომ კაცს გაჰყვება ხსოვნა ნახევარ-წლამდინ, და მერმე — სულ-ერთია, თუ კაცი, თუ ბატკანი —

დასაფლავეს,

დაივიწყეს!

(საყვირი. შიგნით თეატრში ფარდა აიხდება. პანტომიმა. კოროლი და დედოფალი გამოდიან; ნარნარი გამოთხოვა: კოროლი წვება მოსასვენებლათ; შემოდის ბოროტ-მოქმედი კაცი, მიიღებს მის გვირგვინსა, და ჩასხავს მას ყურში შხამსა. გამოვა კიდევ დედოფალი; ხედავს, რომ კოროლი მკვდარია; სტირის. ბოროტ-მოქმედი ნუგეშსა სცემს მას. კოროლის გვამი მიაქვთ. ბოროტ-მოქმედი სთხოვს დედოფალსა შეირთოს იგი და აღუთქვამს გვირგვინსა. დედოფალი დათანხმდება; მხიარულათ მიდიან. საყვირი.)

ოფელია.

ეს რა არის, პრინცო?

ჰამლეტი,

რასაც კაცისაგან მოველით! რაიმე სიბილწე!

ოფელია.

მაგრამ, საგონებელია, რომ ეს გვაჩვენებს შე-

ბოპილუბასა კამედიისასა? (გამოდის აქტიორი.)

ჰამლეტი.

აჰა ეს ჯაბუკი გჳამბობს. ეს ხომ ჯერ წინა სიტყუაობაა.

აქტიორი, მაყურებელთადმი.

ჩუენის წარმოდგენისათჳს
გთხოვთ კეთილ მიდრეკილებას,
ნუ დაჰკარგავთ მოთმინებას.

(თავს უკრავს და მიდის.)

ჰამლეტი.

ხომ ცხადად გაიგონეთ?

ოფელია.

არა! ძალიან მოკლე იყო.

ჰამლეტი.

როგორათაც დედაკაცის სიყუარული.

---

კამედია, რომელსაცა ჰთამაშობენ აქტიორები, შემოდიან კოროლი და დედოფალი.

კოროლი.

აჰა ფების (*) ცხენთა ოცდაათ გზის შეასრულეს თჳსი იმგრგვლითი მჴურინობა ლაჟუარდოვან ცაში მინდვრებში, და ოცდაათ გზის დამეო გარსკლავნი საშუალ ღრუბელთა, თავით თჳსით აღნიშნა თორმეტი

(*) ფები-ღმერთი მზისა, მზე.

თვე, რაც სიყუარულისა და დიმენიის კავშირმა, გულით შეგვაერთა ჩუენ, როგორათაც ალფეისა და არეტუზის წყალთ ნაკადულნი ერთათ არიან შაერ-თებულნი.

დედოფალი.

ნეტავი შესრულდეს კიდევ სხუა ოცდაათი წელი, მანამ ვნახამთ ჩუენ სიყუარულში ცვლილებასა. მაგრამ რადგაც სამწუხარო ეჭვი მიბნელებს სულსა: სულით შეძრწუნებული, მწუხარებით ვხედავ მე მეუ-ღლესა ჩემსა, საიდუმლო ჭმუნვარებით განსჭვირვუ-ლსა. სუსტდები შენ — მომიტევე, რომ სიხარულს გიშფოთებ — ძლიერის სიყუარულისაგან ძლიერი შიში მაქუს, და დაუდევნელობა რასაკუირველია გამოაჩენდა, რომ ძლიერი-ცეცხლი სიყუარულისა აღარ იგზნების. მე ყოველ დღე ვიტანჯვი, ვშფოთავ სამწუხარო მოსავალითა, და ესე-ა მიზეზი ჩემის ცრემლისა და ნაღველისა!

კოროლი.

ვაჰ! რა უნდა ვქმნა! მომიტევე, უძვირფასესო მეგობარო! მე ვგრძნობ ძარღვებში მიხრწნეულობის სენსა. ჩუენ უნდა განვშორდეთ, და იქმნება საჩქა-როთ — ვინ შეიტყობს! შენ იცოცხლე. სიხარული დაადგრეს შენთანა, და მეორე ქმართან გაბედნიე-რდეს შენ...

დედოფალი.

ეგ რა თქვი! მაგ საშინელ სიტყუებთაგან გამი-შრა ძარღვებში სისხლი. ბოროტთა სულთა დამცენ ზეციერნი მეხნი დასასჯელად, თუ რო მე ხელ-მე-

ორე სიყუარულში გჰპოვო ბედნიერება. მოკუდა მხუბუქ იქმნება ჩემთჳს...

ჰამლეტი, ოფელიას.

ეს მგონია უმწარესია აბზინდაზე.

დედოფალი, სცენაზე.

მე სასჯელს ვერ ვიპოვი, საკმაოდ დასასჯელად თავისა ჩემისა უკეთურობისათჳს, თუ რო შენ მაგი-ერ სხუა მიყუარდეს, და სულ-ერთია, თუნდ ელვარე ხანჯალი დამიცია შენს გულში, თუნდ აღმიგზნია სული სიყუარულითა სხვისადმი.

კოროლი, სცენაზე.

სასიამოვნოა გულწრფელი სიტყუა შენი, მე მრწამს; მაგრამ ვინ დასთვლის რაცა დროებისაგან დაგვი-კარგავს? განზრახუანიცა მოკუდავ კაცისა, სახსო-ვარიცა მისი — ყოველივე ოცნებაა! პირველად ეგონენ მტკიცე, შემდეგში — და ამაოებაა! ნაყოფი დამწიფებული ერთის მხოლოთ შეხებითა დაეცემა, და კაცი, ოჰ! იკარგება დავიწყებაში. რავდენ აღვბ-რივია სიხარული, ეგოდენ ძლიერია მწუხარება. და ცრემლნი, დაეცემიან რა დროების ფიცარზე, გაჰქ-რებიან სატრფონის შეჰბერვისაგან. რას არ აღგვი-თქვამენ ჩუენ მეუღლენი! და შენცა, კეთილთა დღეთა ჩემთა მეგობარო, თუ კი მე მოვკუდები, შენცა....

დედოფალი, სცენაზე.

დაეხსენ მაშინ ნუღარვე იხილონ ჩემთა შეწუხე-ბულთა თუალთა ნათელი დღისა; დაეხსნენ საუკუნოთ ვიტანჯო უბადრუკობაში და შეურაცხობაში, დაეხსნენ ქემა სიცოცხლემ იმედინარეოს, რომელთაცა მდა-

მიანი ღჳარი, დაეხსენ უწყალო ბედმა ჩემმა შემოკრიბოს ტანჯჳანი, ყოველივე წამართოს, თითქმის თჳთ იმედიცა, თუდამე დაუტევო სამგლოვიარო ტანისამოსი, და სხჳა მეუღლესთან მივახლოვდე საკურთხეველსა!

ჰამლეტი, ოფელიას.

ახლა რო ფიცი გატეხოს?

კოროლი, სცენაზე.

საშინელია ფიცი შენი! გეშინოდეს არ მოიგლიონ ვაება! მაგრამ გრძნობ ტკბილსა და სასურველსა განსჳენებასა, და აქ მოვისჳენებ, უძვირფასესო მეგობარო!

დედოფალი, სცენაზე,

მოისვენე, მეუღლეო ჩემო, მალთა გასამაგრებლად. ოჰ, ნეტაი ბედმან არაოდეს არ გაგჳყაროს ჩჳენ!

(კოროლი წვება და დაიძინებს. დედოფალი მიდის.)

ჰამლეტი, დედოფალს.

როგორ ჰხედავთ, დედოფალო, კამედიასა?

დედოფალი.

მგონია, მალიან ბევრს რასმე აღგჳითქვამს.

ჰამლეტი.

დიახ, და აღთქმათა მათ კიდეც გაასრულებს.

კოროლი.

იცი შენ ამ კამედიის ჰურობილება? ხომ არა არის რა რაიმე საწყენი.

ჰამლეტი.

არაფერი, არაფერი! აქ მცირედ მოსწამლეს, ისე

ხუმრობისათჳს.

კოროლი.

რა ეწოდება?

ჰამლეტი.

თაგვის-მახე. რათა? მკითხამთ მე. ეს არის რიტორიკული ფიგურა, მეტაფორა. წარმოსდგენს მოკჳლას, რომელიცა იყო სადღაც იტალიაში. მოხუცს ეწოდება გონზაგო, დედოფალს ბაპტისტა. თქუჱნ ახლავ დაინახავთ უსამეგელესსა საქმესა, მაგრამ ჩუჱნ რა? თქუჱნ და მე გვაქუს წმინდა სჳნიდისი, და არცა ჩუჱნ შეგვეხება საქმე. იყვიროს იმან, ვისაც ეს ჟღიტინებს. (სცენაზე გამოდის ჰოროტმოქმედი.)

ჰა, აჰა ჭაბუკიცა გამოცხადდა! ეს არის ლუციანი, ძმის-წული მოხუც კოროლისა.

ოფელია.

თქუჱნ, როგორც სუფფლერი, ყოველივე იცით...

ჰამლეტი.

გნებავსთ, მე გიამბობ, როგორათაც მიჯნური ქალი ატყუებს თჳსსა საყუარელსა, ვითომ, ისე, გადავლით,

ოფელია.

მგ გულის გასაკმურია, პრინცო!

ჰამლეტი.

მე მხოლოთ ვკაწრავ-სხუანი ყელსა სჭრიან.

ოფელია.

თქუჱნი სიტყუა გამოცანა-ა.

ჰამლეტი.

როგორათაც არჩევა ქალთაგან ქმართა —

თბილისი

უყურებს, რატო არ დაიწყებს ბოროტისმოქმედი?
ყვავის ყვირილი ბოროტ მომასწავებელი ისმის,
შურის-მიების ბოროტის მოქმედს მოუწოდებს!

აკტიორი, სცენაზე.

მარჯვე დროსა, მზა—ა ძლიერ შხამი, შედგენილი ბოროტ-საწამლებელთა ბალახთაგან, რომელნიცა მინდვრებში შევკრიბე, როგორათაც მიჩვენა ჯოჯოხეთის ჰეკატამ. გრძნეულო გესლო! გაეშურე შემაბეზრებელი სიცოცხლე მოსწყვიტო.

(ჩაასხავს შხამსა მძინარე კოროლის ყურში.)

ჰამლეტი.

ბოროტ-მოქმედი მოსწამლავს კოროლსა, სანამდის ეძინა მას ბაღში, რათა დაიპყრას მისი სამეფო. მას ჰქვიან გონზაგო. ეს იყო, მე თვით წავიკითხე, კამედია იტალიურ ენაზე. თქვენ ეხლავე ნახავთ, როგორათაც მკვლელი დაიპყრობს გულსა მოწამლულ კოროლის ქვრივისასა.

(კოროლი ადგება შეძრწუნებული. საზოგადო აღრეულობა.)

ოფელია.

კოროლი ადგა.

ჰამლეტი.

რა მოხდა? ხომ არ შეაშინდა რისამე!

დედოფალი.

რა დაგემართა, მეუღლეო ჩემო!

პოლონი.

მოსწყვიტეთ კამედია! (ფარდა სცენაზე დაეშვება.)

კოროლი.

სანთელი მომიტანეთ-წავიდეთ!

პოლონი.

სანთელი, სანთელი, სანთელი. (ყველანი აირევიან და მიდიან, გარდა ჰამლეტისა და ჰორაციოსი.)

ჰამლეტი, წამოხტება.

ისარით დასჭრეს ირემი-
ერთი იცინის, სხუა ოხრავს;
ის კასკასებს, მეორე სტირის,
სულ ასე-ა ამ სოფელში!

ამ ლექსისათჳს, თუ რო ჩავიცუამ კამედიის მოთამაშის ტანისამოსსა, მე მიმიღებენ პირველაკტიორად.

ჰორაციო.

ნახევარ ჯამაგირ-ზე?

ჰამლეტი.

არა! სრულ-ზე!

გჳყვანდა ლომი დიდ პატივში,
მაგრამ მისმა საათმა დაჰკრა —
ლომსა ბედმა უღალატა —
დღეს პატივში-ა... მამალი!

ჩემო კარგო ჰორაციო! ეხლა მზა ვარ ვაუდო სიტყუანი მოჩუენებისა ოქროს წონათ. შენიშნე შენ?

გორაციო.

ძალიან შევნიშნე, პრინცო.

ჰამლეტი.

რა წამს საქმე მიდგა მოწამვლაზე...

გორაციო,

მეტათ აშკარა იყო!

ჰამლეტი.

ჰა, ჰა, ჰა! ჰე, მუზიკანტები, მედუდუკეები მომ-გჳარეთ აქ.

როდესაც კოროლი კომედიებსა არ შეიყუარებს,
მაშ მას-მაგრამ, რადა, მას კომედიები სულ არ უყუარს!

(შემოდიან როზენკრანცი და გილდენშტერნი.)

ჰამლეტი.

ჰე, მუზიკანტები მომგჳარეთ აქ.

გილდენშტერნი.

ნება მეცით, პრინცო, მოგახსენოთ რამდენიმე სიტყუა.

ჰამლეტი.

ბრძანე — თუნდ მთელი ისტორია!

გილდენშტერნი.

კოროლი.

ჰამლეტი.

ჰო-დიახ, რა კოროლი?

გილდენშტერნი.

კოროლი აქედგან განშორდა, და ეხლა —

ჰამლეტი.

მთვრალია!

გილდენშტერნი.

არა, პრინცო განრისხებულია.

ჰამლეტი.

მაშ თქუენ გონიერ მოიქცევით, თუ რო რჩევას ჰკითხავთ იმის ექიმსა. იქმნება, თუ მე უწამლე უფრო ცუდი დაემართოს.

გილდენშტერნი.

გთხოვ, პრინცო, ილაპარაკოთ წესიერად, და არ განშორდეთ საქმისაგან.

ჰამლეტი.

კარგი, თქვით.

გილდენშტერნი.

დედოფალმა, თქუენმა მშობელმა, დიდად შეწუხებულმა, მომგზავნა მე თქუენთან.

ჰამლეტი.

მშვიდობა თქუენი ნახვა!

გილდენშტერნი.

ეგ მოკითხვა სრულებით უადგილოა, პრინცო. თუ გნებავსთ მამცეთ კეთილგონიერული პასუხი, მე ავასრულებ თქუენის მშობლისაგან ჩემთჳს ჩაბარებულსა, და თუ არა — უკაცრავოდ — მე წავალ, და მით ყოველივე დასრულდება.

ჰამლეტი.

ხომ ხედავთ არ შემიძლიან.

გილდენშტერნი.

რა არ შეგიძლიანთ, პრინცო?

ჰამლეტი.

კეთილ-გონიერად გიპასუხო. ავათ არის ჩემი გონება. მაგრამ ესრეთს პასუხს, როგორიცა მე შემიძლიან, მხოლოდ მიბრძანეთ — თუ თქუენ, ანუ

დედა ჩემს ნებავს: სიხარულით მოგართმევთ. მაგ-
რამ ამას ნუ მივხედავთ. დედა ჩემი თქუენ თქუით-

გილდენშტერნი.

დედათქუენმა მიბრძანა, რომ თქუენი საოცარი
ყოფა-ქცევა ანცვიფრებს და აკვირვებს მას.

ჰამლეტი.

ო, მაშ მე საკვირველი შვილი ვყოფილვარ, თუ
განვაკვირვე დედა ჩემი! მაგრამ შემდეგ მისის განცვიფ-
რებისა ხომ არა იყო რა კიდევ სხუა რამ? განაგრძეთ.

გილდენშტერნი.

მას სურს გელაპარაკოს თქუენ, და გთხოვს მი-
ბრძანდეთ მასთან.

ჰამლეტი.

დავემორჩილებით; ასე დავემორჩილები, ვითომც
ასჯერ უშობივარ მას. გნებავსთ რამ კიდევ ჩემგან?

როზენკრანცი.

პრინცო! ადრე მე თქუენ გიყუარდით.

ჰამლეტი.

ცუდი კაცი ვიყო, თუ ეხლაც არ მიყუარდე.

როზენკრანცი.

რა მიზეზია თქუენის მოშლილობისა? არ არწ-
მუნებთ რა თქუენს მწუხარებას მეგობარობასა, მით
დაუკეტავთ კარსა თქუენს განთავისუფლებასა სნეუ-
ლებისაგან.

ჰამლეტი.

ხედავთ, წინ არ მიშვებენ.

როზენკრანცი.

როგორ ეგრეა, პრინცო, როდესაც თქუენ ხართ

მემკჳდრე შემდეგ ბიძის თქუენის!

ჰამლეტი.

ეგრე-ა, მართალი-ა! მაგრამ, «მანამ ბალახი მოი-ზრდება, წუალი მშრალი ჩაივლის» — ეს ანდაზა მცირე-ოდენ დაობებულა..(გამოდიან მუზიკანტები.)ახ! აჰა მედუდუკენიცა! მომეც შენი დუდუკი. (გილდენშტერ-ნს.) მე მგონია, ვითომც თქუენ მაღლიან დამდევთ მე?

გილდენშტერნი.

მერწმუნეთ, პრინცო, უღვლისა მიზეზია თქუენდა სიყუარული ჩემი და ერთ-გულობა კოროლისადმი.

ჰამლეტი.

როგორათაც სრულებით მე ვერ მეყურება. დაუ-კარ რამ ჩემთჳს. (აძლევს მას დუდუკს.)

გილდენშტერნი.

არ შემიძლიან, პრინცო.

ჰამლეტი.

ჩემის გულის-თჳს!

გილდენშტერნი.

მართლად, არ შემიძლიან, პრინცო!

ჰამლეტი.

ღვთის გულისთჳს, დაუკარ!

გილდენშტერნი.

მე სრულებით არ ვიცი დუდუკაზე დაკჳრა.

ჰამლეტი.

ეს ეგრეთვე ადვილია, როგორათაც სიცრუვის თქმა. დაიჭირე დუდუკი აჰე, მიიტანე ტუჩებთან, თი-თები აქ დააწყე — და დაუკრავს.

გილდენშტერნი.

მე სრულებით არ მისწავლია.

ჰამლეტი.

ეხლა თუთ შენ განსჯე: მითომ ვინ გგონივარ მე? შენ გინდა ითამაშო ჩემ სულ-ზე, და აჰა არ იცი დაუკრა თითქმის უბრალო რამ ამ დუდუკ-ზე. განა მე უფრო ცუდი და უბრალო ვარ, ვინამც ეს დუდუკი? როგორც გნებავს შემრაცხე—შეგიძლიან კიდეც დამტანჯო, მაგრამ ჩემ-ზე კი არ გათამაშებ.

(პოლონი გამოდის.)

ჩემს ღრმას პატივისცემას განგიცხადებ!

პოლონი.

დედოფალს ნებავს მოგელაპარაკოს თქვენ და დაუყოვნებლივ.

ჰამლეტი, მაღლა იყურება.

ეს რა არის? სწორედ დრუბელია, და რასახით ემზგავსება აქლემსა!

პოლონი, უყურებს.

დიახ, პრინცო, აქლემსაცა საშინლათ ჰგავს.

ჰამლეტი.

ოჰ, არა! ჰგავს დედოფალას! მართალი არ არის?

პოლონი.

მომითმინეთ. მართლა—სწორედ დედოფალაა!

ჰამლეტი.

მე კი ვჰფიქრობ, რომ ეს არის ვეშაპი!

პოლონი.

მომითმინეთ, კარგა გავშინჯო. ჰა-მე, მართლა-დაც—ვეშაპის სახე-ა!

ჰამლეტი,

უთხარით დედოფალსა, რომ მე ეხლავ ვიახლები. მოვშორდე ამათ, თორე ამათთან ნამდვილად კაცი გასულელდება — მოვდივარ, უთხარით დედოფალსა.

პოლონი.

აღვასრულებ. (მიდის)

ჰამლეტი.

აღასრულე! დიახ, ადვილია თქმა! — მეგობარნო, მშვიდობით! (მიდის. როზენკრანცი და გილდენშტერნი მიდიან. ჰამლეტი ისევ დაბრუნდება,)

ახლა მოახწია გრძნეულმა ღამის საათმა. სასაფლაოთაგან მკვდარნი წასულ წამოსულ არიან, ჯოჯოხეთი შეუსაძრწუნებლად სუნთქავს — მოახლოვდა დრო გამძღე სისხლითა, და აღვასრულო საქმენი, რომელთაც დღე ვერ გაბედავს იხილოს! — წუნარა დედასთან მივდივარ! გულო! მომაგონე, რომ მე ვარ შვილი — უცხელ, და არა გარეგან ვიქნები — მე დედას დავაწყლულებ სიტყვით — ხმალი ჩემი — არა! ხელს არ ავამაღლებ დედა-ზე! სულო! რაც უნდა დემონმა ბოროტობისამა გიჩურჩულოს, ნუ დაეთანხმები აღასრულო სიტყუა მისი! (მიდის.)

---

კოროლი, როზენკრანცი და გილდენშტერნი.

კოროლი.

არა! უნდა დავასრულოთ: უგონობა მისი თან-და-თან საშიშია ჩვენთვის. მზა იყავით. მე თქვენ

დაუყოვნებლივ გაგატანთ მას, და თქუენ წაიყვანეთ მას ანგლიაში. მოვალეობა მეფისა ნებას არ გვაძლევს ვითმინოთ მისი ბოროტ-საგნებელი უგუნურობა, და ვფაროთ გული უბეში.

გილდენშტერნი.

ჩუენ დავეშურებით; მოვალეობისა ჩუენისა უყოვლივე მსხვერპლად შევსწიროთ კოროლისათჳს.

როზენკრანცი.

მდაბიო კაცი თანამდებია თავს-უშველოს, მაგრამ კოროლის სიცოცხლესთან შეერთებულია სახელმწიფოს სიცოცხლე; ამისთჳს ჩუენ თავს დავსდებთ თქუენის უშიშროებისათჳს.

კოროლი.

მე გთხოვ თქუენ საჩქაროთ მოემზადნეთ წასასვლელად — უნდა შევაყენოთ მემუქარი საშიშროება. (როზენკრანცი და გილდენშტერნი მიდიან.)

პოლონი, გამოდის

ჰამლეტი დედასთან გიახლებათ; მე იქ ხალიჩების იქით მოვიმალვი, და ლაპარაკს გავიგონებ. რასაკჳრველია, დედოფალი დასტუქსავს მას — მაგრამ, როგორათაც ბრძანეთ თქუენ, და ბრძანეთ უთუოდ ბრძნულად, სხჳა უცხო კაცი უნდა იყოს იქ, და გაიგონოს სრული ლაპარაკი. შემდგომ მოვალეობა იქმნება ჩემი ყოველივე, რაც კი გავიგონო, დაწვრილებით მოგახსენო თქუენ.

კოროლი.

გმადლობ. (პოლონი მიდის.)

კოროდი.

სისხლიერი ორთქლი საშინელის ბოროტმოქმედებისა მისწრაფთა ცათა. საშინელი-ა შეცოდება, ჩემ მიერ აღსრულებული — მარგვლ-დასაბამითი ცოდვა ბოროტმოქმედება კაენისა-მოკვლა ძმისა! არა შემიძლიან ვილოცო, თუმცა შენანების აღშფოთოვანებანი მკვეწვენ სულსა ჩემსა — დანაშაულობა ჩემი შენანებაზე უმეტესია, და თითქოს კაცი ერთი ორადით აღთქმით შეკრული ვარ, შენანებითა, ცოდვითა — ვარ შეკრული და შეუძრავი, და არ ვიცი, რა ვიწყო! მაგრამ თუნდ რო ჩემი წყეული ხელი უფრო მეტად იყოს შესვრილი ძმის სისხლით, განადა არ არის ზეციერი ცუარი, გამბანელი და გამთეთრებელი უთეთრეს თოვლისა? მაშ რათღა-ა მიტევება, თუ არ იქმნება მიტევება იგი ბრძოლაში ცოდვასსა თანა? რაჲს-თჳსღა არის ლოცვა? რათა ბოროტი შეაყენოს, და განბანოს ოდეს იგი აღსრულდეს!- გავბედოთ ავამაღლოთ ცად თუალნი — ცოდვა აღსრულებულია! მაგრამ როგორ ვილოცო? რა ლოცვას შეისმენს ღმერთი? როგორ ვილოცო; ვსთქუა: მამიტევე მკუდელსა? — არა! მე ყოველსავე ვჰფლობ, რაცკი მამცა საშინელმან მკუდელობამ — გჳრგჳნსა, პატივითა, დედოფალსა... განა ცოდვა მამეტევება, ოდესაც ვჭყოვნი მე ცოდვასში? წინაშე კაცთა, წინაშე შეურაცხისა მათ სამართლისა, გაოქროვებულის ხელით, შეცოდება ადვილად შეაყენებს სამსჯავროსა და მოისყიდის სჯულსა — მაგრამ იქ ისე არ არის! არ არის მოსყიდვა, და შეცოდება სდგას წინაშე

სამსჯავროჲსა საშინლად განშიშვლებული! რაჲდა ვჰქმნა? რაჲდა მშთება? რა შეუძლიან სინანულსა? მაგრამ — რა არ შეუძლიან სინანულსა? ყოველივე თუ კი შეუძლიან კაცს შეინანოს... ჵ ჭაზრო ცხოვრებისაო! ჵ შავო ჩემო სჳნიდისო! დამნაშავე სული, ცოდჳსათ ჯაოხაში დაჭერილი, რავდენ მეტად ცდილობს ამოვიდეს, მით უფრო საშინლად ეფლობა... შემეწიენით ანგელოზნო! გამოსცადეთ თქუენი ძლიერება! მოიხარენით, მოუდრეკელნო მუხლებო! და შენ, გულო, დარბილდი, როგორათაც გული ახლად შობილისა ყრმისა! ღმერთო მოწყალეო.
(კოროლი წყნარ-წყნარა დაიჩოქებს, და დაიკარგება ფიქრში.)

ჰამლეტი, წყნარა შემოვა.

ეხლავ რომ ეს გავისტუმრო-ადვილია — ლოცულობს-ეხლავ გავისტუმრო. (ხანჯალს ამოიღებს.) და ლოცვისა თანა დაიღუპება. მაგრამ იქმნებაა ეს შურისგება? შეიცადე, იფიქრე. მამა შენი ამან დაჰკლა. შენ, შვილმა, შენ, მამის სიკჳდილის შურის-მძიებელმა, მოასწრო ამას სინანულში, და ეხლა სიკჳდილი ამისთჳს იქმნება კეთილის ყოფა, და არა შურის-ძიება — არა! არ იქმნება შურის-ძიება!

ამან მამა მოჰკლა ცოდვებში, დაუდევნელ გრძნობის მიძინებაში, და მამამ იყო მოკლულისათჳს ანგარიში. განა უნდა ავიღო სისხლი, ოდეს ეს მზაა დადგეს მოუზრუნებელ შორ გზაზე? არა! არა! (ხანჯალს ჩასდებს ქარქაშში.)

ქარქაშში, შურის-მძიებელო! საშინელ იქმნება

შენი დაკჳრვა, ოდეს მიჰასწრობ მას მთჳრალსა, მძინარეს, განრისხებულსა, უდროს ცოდვის ლხინში თამაშობაში, ფიცში, ესრეთ სულის აღფრთოვანებაში, ოდესაც საფლავის იქით დანთქმა ნამდვილია. მაშინ დაკჳრვა შეაყირავებენ ამას, რათა შავის სისხლით სული ამისა შთავარდეს ბნელ ჯოჯოხეთში, როგო-რაც ცოდჳანი ამისნი ბნელ არიან! დედა მიმე-ლის მე — იცოცხლე, მაგრამ უიმედოთ, რომ სიცო-ცხლე შენი გაგრძელდეს — შენ ხარ მკჳდარი! (მიდის.)

კოროლი.

სიტყჳები იბნევა ცაში, ზაზრი დედამიწა-ზეა; უჰაზროთ სიტყჳა არ მიეკარება ღმერთსა!

(საჩქაროთ მიდის.)

---

## გამოცხადება ე.

(ოთახები დედოფლისა.)

დედოფალი და პოლონი.

პოლონი.

დაუყოვნებლივ გიახლებათ ჰამლეტი. სასტიკად მოექეცით; უბრძანეთ, რომ მისი უგუნურობა მო-სათმენი არ არის; უბრძანეთ, რომ მხოლოთ თქჳე-ნმა თხოვამ დააშოშმინა კოროლის მრისხანება. ვერ გავბედავ ამაზე მეტი გირჩიოთ, მაგრამ სიმტკიცე ამ საქმეში საჭიროა —

დედოფალი.

მენდეთ მე. მე ვიცი, რაც-უნდა გსთქჳა — წადით ეს ის არის! (პოლონი მიეფარება ხალიჩების იქით.)

ჰამლეტი, გამოდის.

რა გნებავსთ, დედაო ჩემო? მიბრძანეთ.

დედოფალი.

ჰამლეტო! შენ უწყალოთ მაწყინე.

ჰამლეტი.

დედაო ჩემო! მამა ჩემი თქჳენგან უწყალოთ არის ნაწყენი.

დედოფალი.

შენ მელაპარაკები, როგორათაც გიჟი.

ჰამლეტი.

თქჳენ მელაპარაკებით, როგორათაც ბოროტი დედა.

დედოფალი.

რას ამბობ, ჰამლეტი?

ჰამლეტი.

რა გნებავსთ?

დედოფალი.

შენ დაგავიწყდა, ვინ ვარ მე?

ჰამლეტი.

არა! გეფიცები, არ დამვიწყებია! თქჳენ ხართ დედოფალი თქჳენ ხართ ჩემის ბიძისა მეუღლე-ჲა — ოჰ მე რათ უნდა დავასწრებოდო! — თქჳენ ხართ დედა ჩემი...

დედოფალი.

მე მოვგზავნე, რომ შენთან ილაპარაკონ სხჳათა,

რომელნიცა შენს უგუნურობას დაამშვიდებენ.

ჰამლეტი.

არა, არა! დაჯექი; აქ ადგილიდგან ვერ დაიძვრი, მანამ არ წარმოგიდგენ ესრეთ სარკესა, სადაცა სულისა შენისა დაკუჭლანკლილება აშკარად გამოჩნდება!

დედოფალი.

რას სჩადი, ძეო ჩემო, გინდა მამკლა,.. ოჰ! მიშველეთ, მიშველეთ.

პოლონი, ხალიჩების იქით,

უშველეთ!

ჰამლეტი.

აქ რა არის? თაგვი! (ხმალს დაჰკრავს ხალიჩაზე.) მოკვდულია! სანეძლაოზე ერთი ოქრო, რო მოკვდულია!

პოლონი.

ვაჲ! მკჳდები! (დაეცემა.)

დედოფალი.

ახ! რა ჰქმენ, ძეო ჩემო!

ჰამლეტი.

რა? არ ვიცი! — კოროლი? (ხალიჩას ახდის და გამოათრევს პოლონის გვამსა.)

დედოფალი.

ოჰ, როგორი სისხლიერი, უგუნურია შენი საქციელი!

ჰამლეტი.

სისხლიერი? — რითია არის, დედავ, ჩემი საქციელი ცუდი მასზე, რომ მოჰკლა მეუღლე და მეუღლე-

ლთან იქორწინე?

დედოფალი.

მოჰკალ მეუღლე!

ჰამლეტი.

დიახ, მე ვიტყვი შენ — მოჰკალ! (პოლონის.) და შენ, რეგვენო, სულელო, ბრიყვო! მომიტევე — მე მეგონა, აქ სხვა, შენ-ზე გონიერი, იყო მიმალულო-ბრძალი დასდე შენ ბედს-ხედავ, სხვის სამსახური საში-შია ყოველთჳს... (დედოფალს.) ხელებს რათ იმტვრევთ ეგრე? დამშვიდდით, დაბრძანდით — მე გულსა თქვენსა გავტეხ — მე შევსძრავ მას, თუ რო სრულებით კიდევ არ გაქვავებულა, და ბოროტობით არ გარდაქცე-ულა ჯერ ფოლადათ, თუ რო მას მიუკარებია ერთი მაინც რომელიმე გრძნობა....

დედოფალი.

რა ვჰყავ ეგეთი, რომლისათჳსაც შენ ესრეთ ხარ ჩემდა უწყალო?

ჰამლეტი.

ესრეთი საქმე ჰქმენ, რომლითაცა დადუმე შენი თავ-დაცულობა! სათნოებისაგან შენ შეჰქმენ მზაკვრა-რება — სიყვარულის ყვავილსა მოასხი შენ შხამი, ფიცი, რომელიცა მიეც მეუღლეს წინაშე საკურ-თხეველისა, შენ მოთამაშეს ფიცად გარდააქციე-შენ რადა გრწამს სული კაცისა — შენ გასცინე სიწმინ-დე სჯულისა, და ცა იწვის შენის ბოროტმოქმედე-ბათაგან! ხომ ხედავ, როგორ ყოველივე მოწყენილ და მწუხარეა, თითქოს მოახლოებულა მეორეთ მო-სვლა!

დედოფალი.

ახ! მითხარ, რა ამბავია? რა გინდა გამოჰსთქვა ჰგუნურ ბორგვაში?

ჰამლეტი.

ამა ორი პატრეთი — შეხედე: როგორი დიდებულობაა აქ, მშვენიერება, ძალი, ახოვანება, გონება, ესრეთია ორბი, ოდესაც ქედთაგან მთათა აღფრინდება ზეცად, — შეხედე, სრულებაა ღვთის ქმნილებისა — ეს იყო შენ ქმარი! — შეხედე, კიდევ, ხედავ დამპალს ბალახსა, რომელმანცა დაღუპა დიდი კაცი — შეხედე, უყურე-ანუ ბრმა იყავ, ოდეს მერადგან რუჯნილების ჭაობში შთავარდი შენ? თქვი: ბრმა იყავ? თავს ნუ იმართლებ მით, ვითომც შეგაცდინა სიყვარულმა: შენს ხანში სიყვარული ემორჩილება გონებასა — სად იყო გონება შენი? სად იყო განსჯა შენი? რომელმა ჯოჯოხეთის დემონმა შეიპყრა მაშინ შენი გონება, გრძნობა, შეხედულობა? დედაკაცმა დაივიწყოს სირცხვილი დედაკაცისა, მეუღლისა, დედისა... თუ რო სიბერეცა ეცემა ესრეთ საშინლად, სიყმაწვილეს რაღა ჰშთება? გმრწუნავ, გმრწუნავ კაცის გამო!..

დედოფალი.

შვილო ჩემო! შენ თვალნი შემიბრუნე შიგნით სულში, რომელსაცა ვხედავ მე ესრეთ სისხლიერს, ესრეთ სასიკვდილო წყლულებში — აღარ არის ხსნა!

ჰამლეტი.

რისათვის დაიმორჩილე შენ ბიწიერებას? რისათვის ემიებდი სიყვარულსა ცოდვის უფსკრულში?

დედოფალი.

ოჰ! დაჩუმდი! როგორათაც მკვეთრი დანა, სი-ტყუა შენი ჰგლეჯს გულსა ჩემსა! დაჩუმდი ჰამლე-ტი, საყუარელო შვილო!

ჰამლეტი.

მკვლელი, ბოროტმოქმედი, მონა, მასხარა გვირ-გვინოსანი, ქურდი, რომელმანცა მოიპარა სიცოც-ხლე, და მისი გვირგვინი კაბის ქუეშ უჩუმრად წარი-ტაცა, ჯუბინაო მოტანტალე...

დედოფალი.

ახ! ნუღარას იტყუი, ჰამლეტო!

ჰამლეტი.

და შენ შეიძლე მზაკუარსა... (აჩრდილი მამისა შემოდის.) ზეცათა ანგელოზნო, მიხსენით, თქუენის ფრთებით... მითხარ, კნეინულო, რა გინდა შენ?

დედოფალი.

გაგიჟდა?

ჰამლეტი.

ნუ თუ გამოცხადდი, რათა დააყუედრო შჳლსა, რომ დააგვიანა მან შურის-ძიება? თქუი!

(მიემართება.)

რა დაგემართათ დედოფალო?

დედოფალი.

რა დაგემართა, ჰამლეტი? თუალებს რას ატან-ტალებ მანდეთ, სადაც არა არის რა? ვის ელაპა-რაკები ცარიელ ჰაერში? მთელი სული თუალებში გადმოგსახლებია და თმები შენნი ყალყზედ შემდგა-რან. საყუარელო შვილო, დაიმშვიდე გრძნობათ

აღფრთოვანებანი, ვის ხედავ?

ჰამლეტი.

ამას, ამას! უყურე, რასახით არის გაყვითლებული! მისი საშინელი გამოცხადება ქჳასაც კი მისცემს გრძნობასა! ნუ, ნუ იყურები ეგრეთ მწუხარედ და ნაღვლიანად! შენ შეგიძლიან დააბრკოლო ჩემი გამზადება, და მე ცრემლით, არა სისხლით, სისხლს ავიღებ.

დედოფალი.

ვის ელაპარაკები?

ჰამლეტი.

ნუ თუ ვერ ხედავ?

დედოფალი.

მე არვის ვხედავ, თუმცა ვხედავ ყველაფერს.

ჰამლეტი.

არცა რა გესმის?

დედოფალი.

არაფერი.

ჰამლეტი.

უყურე, უყურე—აჰა ის, მამა ჩემი, ის—სწორე-ცოცხალი არ არის! უყურე, აჰა მიდის—წავიდა...

(აჩრდილი მიდის.)

დედოფალი.

ოცნება-ა გამოხატულობისა, შვილო ჩემო! შენ თავს ივიწყებ და ხედავ მოჩვენებასა!

ჰამლეტი.

ოცნებაა? მაგრამ მაჯა მიცემს ეგრეთვე, როგორათაც შენ—მე ვხედავ, მესმის, ჩემი გულის

ხმასყოფა ჩემთან არის — მე გიამბობ მისს ნათქუამსა; განა უგუნურსა შეუძლიან მზობა წესიერად და დაწყობით? განა ეს არის უგუნურობა? დედავ, დედაო ჩემო! ნუ დაღუპავ ცხონებასა მზაკუარ ორ-ფერობითა, ვითომც აქ დამარაკობდეს უგუნურობა ჩემი, და არა შენნი ცოდუანი და შეცთომილებანი! შენ გულის დაჭრილობათა ვერ განკურნავ, შენ დაჰფარავ მათ სულის სიღრმეში, და იქ საშინლად დასწვენ სულსა შენსა ჯოჯოხეთის ტანჯვითა! სინანულით მიიდრიკი ღჳთისადმი — შეინანე, ილოცე წარსულ საქმეთა თჳს, გეშინოდეს მომავალისა, და გეშინოდეს შხამი უგრძნობელობისა მიითჳალოლხუნად! მე გევედრები, ფერხთ ქუეშ დაგეცემი.... გარყუნილ საუკუნეში სათნოება, მხოლოთ სათნოება — და არა ბოროტმოქმედება — უნდა ევედრებოდეს მოტევებასა მაზე, რომ ჰბედავს აამაღლოს ხმა ლოცვისა მისს ცხონებისათჳს!

დედოფალი.

ჰამლეტი, მეო ჩემო! შენ გამირღვიე გული!

ჰამლეტი.

გადააგდე მისი დამპალი ნაწილი, გადააგდე, და წმინდა ნახევართან დაშთი! ჩუენ უნდა გავშორდეთ... ნუ წაიბილწები ბიძიჩემის შეხებითა! და თუ შენ სათნოებითანი არა ხარ — ითუალთმაქცე, ეჩვენე, რომ გიყუარს სათნოება. ურჩხმული ჩვეულობა — სათნოების დამღუპი — ჩუენთჳს მაცხოვარ ანგელოზად შეიძლება შეიქმნას, და შეუძლიან სათნოებას შეგვაჩვიოს. დღეს მძიმე იქმნება. ჩუენთჳს ზომიერება,

მაგრამ მეორე დღეს შესუბუქდება და მცირედ-მცირედ ზომიერება შეაჩვევს სათნოებასა! მშვიდობით დედაო ჩემო, მშვიდობით! და თუ გსურს ზეციერი კურთხევა, მითხარ-მე მოვალ კურთხევის მისაღებად. (მიუბრუნდება პოლონის.) და შენ, მეგობარო მომიტევე—მეცოდება. სხვის ნებავდა ესრეთ, რათა შენ ჩემგან დასჯილი იყავ, და მე შენგან. შენის სიკვდილისათვის პასუხს მამთხოვენ.—(დედოფალს.) ღადმვაც, დედაო ჩემო! მომიტევეთ—მე თქვენ უწყალოთ, ფიცხელად მოგექეცით, მაგრამ მე მსურდა, მე ასე უნდა მოვქცეულვიყავ, დედისათვის მიმეცა ზედასხდა გრძნობანი კაცისანი... კიდევ ერთი სიტყვა...

დედოფალი.

მითხარ, რა უნდა ვქნა?

ჰამლეტი.

რა?... ნურა რასა ჰყოფ, ნურც გრწამს რაც გითხარ. დაესხენ კოროლი კიდევ ჩაგეხუტოს; გამოუცხადე მას ყოველი საიდუმლო; უამბე, რომ ჰამლეტი ნამდვილად არ არის შლეგი, მხოლოდ გაჩვენა-თქო გიჟად—და როგორ თქვენ, მშვენიერმა, გონიერმა, კეთილმა, ბრძნიერმა დედოფალმა, არ უნდა უთხრათ იმ ფრთუბიან თაგვსა, ჯოჯოხსა, მუალამის ბუსა, როგორ არ უნდა უთხრათ ყოველივე? ესრეთი ამბავი გაუფთხილებს მას, გაახარებს მკრძალას იდარდებს; თუ შენ იღრმობ კისერსა შენ თავით!

დედოფალი.

არა! შემოგფიცავ, ჰამლეტო, რომ ყოველსავე დავჩქვარავ, რაცკი მითხრა შენ!

ჰამლეტი.

იცით თქუენ? ანგლიაში უნდა წავიდე —

დედოფალი.

ახ! დამავიწყდა... მე გადაწყვეტილია.

ჰამლეტი.

დიახ, გრამატები მზათ არის კიდეც, ჩემი ორნი მეგობარნი, რომელთაც ვერწმუნები, როგორათაც ხვლიკთა, დანიშნულ არიან ჩემთან გამოსაყოლად და მიუძღვანად გამზადებულ აკანათამდე. დაეხსენ — ღმერთმა ინებოს მშვიდობის მგზავრობა — წავალთ, ვნახავთ, ვინც ვიზე ხერხიანია აფეთქავს ჰაერში — წინააღმდეგ ნაღმისა მივიტან ნაღმსა; ეს მანუგეშებს, მამხიარულებს მე, ოდეს ვინება კაცისა მუშაობს დასანთქავად მეგობრისა, თითქოს მშვინიერე მხეცი! ამ კაცს კი მე მივმალავ... დამე მშვიდობისა!

(პოლონის.) მითხარ, მეგობარო, რათა ხარ შენ ენადაცული, ეგრეთი წყნარი, პირქუში, ოდეს, მრთელი საუკუნე უზდობით დაუდუმლებრივ? წავიდეთ — შენ რა ბევრი გელაპარაკო! (მიათრევს პოლონის.)

დამე მშვიდობისა, დედოფალო....

---

დასასრული მესამის მოქმედებისა.

## მ ე ჯ ი ს.

ერთს რომელთანმე შემემთხვა ლაპარაკი, შესახებ ქართულის ენისა, რომელსაცა აღვწერ და ასე იყო:

ის. — თქჳენ რომ ისე აქებთ ქართულს ენას თქჳენს რვეულში, (*) ნეტა რა საქებია ან საყჳარელი ქართული ენა და ან თჳთ ქართული ჟურნალი? — ქართულს სიტყჳიერებას ჰქონდა თავის დიდების ერთი დრო, და მაშინ დასრულდა იმის სავრცელება. ეს დრო იყო მეფუას თამარის დრო!

მე. — წრფელის გულით მეუბნებით თქჳენ მაგას, თუ მეხუმრებით?

ის. — მერწმუნეთ მართლად გამბობ.

მე. — მაშ გამიგონეთ, აბა ჯერ ეს მითხარით, რომელი ხალხია ქვეყანაზე, ანუ ბევრი, ანუ მცირე, რომ თავის ენაზე თავის საკუთარი ჟურნალი არა ჰქონდეს და თავიანთის ენის აზრსა იმ ჟურნალზე არ არ გამოსთქმიდნენ? — მგონია ვერც ერთს ვერ მეტყჳით. — ეს დრო არის ნათელი დრო: როგორათაც უღრუბლო მზემ განაბრწყინოს ქვეყანა, ესე იგი სწავლის დრო და გონების განათლებისა, მაშასადამე სადაც ესენი არიან, იქ ყოველი კარგი და კეთილი უნდა იყოს. ღმერთმან აღდეგრძელოს ჩჳენი განათლებული ჩ ვ ე ნ ი დ ი დ ი კ ლ ე მ ნ ტ ი ვ ე ! ის ზრუნავს ჩვენთჳს და ჩვენცა არა ვართ ჩვენთჳს. იმან ინება

(*) ეს ხსენებული ჩემი რვეული დაიბეჭდა ცალკე რვეულად. 19-სა ივნისს, 1856-სა წელსა.

ჩვენი ქართული ჟურნალი გვქონდეს, ჩვენ შესაქცევად, სასიამოვნოდ და დროს გასატარებულად. გარდა ამისა, რადგან საისტორიო ძველი ქვეყანაც არის ეს ჩვენი ქვეყანა. ამ ჩვენის ქართულის ჟურნალით ამ ჩუენს ქვეყანაში, თავის დროზე მრავალი ძველი საგანი გამოჩნდება ისტორიისათვის და ისტორიის ბევრი სასარგებლო, ამისთვის მოთმინება გვინდა მანამდისინ, მინამ კარგად გაკეთდეს ჩვენი ჟურნალი. ნაცვლად ამისა რასა ვშვრებით ჩვენ? — ჩვენს ენასა ჩვენის კელით წკეპლითა ვცემთ, და ზედ დავუყივით აუგად. რადა დაგვრჩომია? — ბარემ მეიდანზედ გავიდეთ სახალხოთ ყველანი და იქ მეიდანზედ, იმ შეურილობაში ერთმანეთს დავაძროთ ენები და ამ გვარი გაუგონელი კამედია ქვეყანამ ნახოს. შეგვიძლიან ეს ადვილად მოვასწრინოთ, მაგრამ ამაზედ ქვეყანა რას იტყვის, იმ აზიის მეკუნძულეთა შემდეგ? — სადაც ველურნი ხალხნი იყვნენ, ამ რაოდენსამე წლის წინ, ახლა ევროპიის განათლება სუფევს იმათში, იმათ საკუთარს ენაზე და თავიანთი ჟურნალი? — ამის შემდეგ ჩვენ რადა გვმართებს? — ჩვენ ძველს ქართველებს, რომლებსაცა ათასობითა წელიწადია, გვაქვს ჩვენი ენის სიტყვიერება?»

ახა რა მოგახსენოთ ჩემო მწყალობელო? — იქნება გგონიათ? — თუ ჩვენი ენის ჟურნალი გვემნება, ამით მთელი ხმელეთი დაიქცევა? შენი ჭირიმე თუ მართლა ეს ასე იქნება, პირველად მე გამიყვანეთ, არამც თუ ენა ამამაძროთ, თავი გამაგდებინეთ, რომ ხმელეთის დაქცევა ჩემმა თვალებმა არა ნახოს

და კაცობრიობის საშინელი უბედურება.

არ ვიცი და ვერ მიმხვდარვარ, რა ამბავია, რომ ჩუენი ქართულის ჟურნალის წინააღმდეგნი ვართ. თითქმის დაუმინებელნი მტერნი? — სტუმრათ ვართ სადმე ვლანძღამთ, შევიყრებით სადმე ვლანძღამთ, ქუჩაში დავდივართ ვლანძღამთ. სულ ვლანძღამთ, ვლანძღამთ და მარადის ვლანძღამთ... დაუსრულებელი არაარისრა, ყველას დასასრული აქჳს, მაგრამ ეს ამდენი ლანძღვა, არ იქნა, აღარ დასრულდა. ღვთის წინაშე, ჩვენი ქართული ჟურნალი გასასწორებელია და კარგათ გასაკეთებელი, დიახ კარგი იქნება, ასე ინებეთ როგორც თქუენი სურვილი იყოს, ოღონდ აუგად ნუ გახსენებთ ჩვენს ქართულს ჟურნალს.

ამ დღეს ერთს ღამეს, ერთს ქუჩაში მოვიდოდი. ერთი საშინელი გაფიცხებული ყვირილი მომესმა; ამ ხმას დაუახლოვდი, ვნახე, რომ რამდენიმე ქართველ-ლები მოდიოდნენ უშვერის ლანძღვით; ისე გაფი-ცხებულები, თურმე თავიანთ ცისკარსა ლანძღამდნენ და თავიანთ ენას. არარის გასალანძღი არცა ერ-თი ჭეშმარიტად, მხოლოდ თუ ნაკლებულობა რამ დაინახოთ ჩუენი ჟურნალისა, უნდა ქაღალდზე დაწეროთ; განიხილოთ, რა და რა ნაკლებობაა ამ ჟურნალში, რომ გასწორდეს ჩვენი ქართული ჟურ-ნალი, ისე რაც საჭირო იყოს ამისთჳს, თორემ უკანასკნელი ლიტონი ლაპარაკი, უფრო სწორეთ ჯსთქჳათ ლანძღჳა, საკადრისი არარის, ამისთჳს რომ, ამ განათლებულს, მშვიდობიანს, კეთილს, ბე-დნიერს და უმდიდრესს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ქ ე დ

ქჳეშ, ჩვენი ენის სალიტერატურო ჟურნალიც რომ სუფევდეს ჩვენს ქჳეყანაში, ამაზე არვინ დაგვძრახავს, არც გასაკიცხი ვიქნებით და არცა მცირედი დასაკლისი იქმნება ვისთჳსმე. თუ გნებავსთ, ან ასე ინებეთ, მაგრამ ესკი აღარ ჯიცი მივაღწევთ თუ არა? —ოღონდ არ მითაკილოთ და ან დასაწყუნა არ ვიყო თქჳენგნით: თავზედებათ დაგიდგებით, მთელ ხმელეთის ერთან, რომ არამცთუ ჩვენი ქართულის ენის ჟურნალი დაგვიწუნონ, არამედ მოგვიწონონ და დიდის სიამოვნებით მიიღონ ყჳელამ.

მოწყალეო. ჴელმწიფევ, ეს რაც მოგახსენეთ, თუმცა ცოტა გაჯავრებით იყო, მარამ მართალი კი ითქვა. ახლა დამშვიდებით მოვუყვეთ და გაგონება თქჳენი იყოს. —ყოველი სწავლით და გამოცდილებით არის-რაშიაც კაცი იქმნება, თუ იმ გარემოებასა ანუ იმ საგანსა სჩხრეკს, დიაღ ადვილად მიხვდება, თუ არა ჩხრეკს, ბნელია იმისთჳს. აი ჩემო მწყალობელო, არამც თუ ჩვენს მამაპაპას ცარიელი ლიტონი ლაპარაკი შეენახოსთ? —არა, ყოველთჳს თავიანთი წერილების სიტყვიერება ჰქონიათ და არაოდეს არ დაუკარგავთ. მეფეს თამარის დროში, ჩვენი აღუვსებული სიტყვიერება საკვირველად ნუ გექმნებთ, ამისთჳს რომ ძლიერი იყო; ბერძნებთან ხშირი შეერთება ჰქონდათ და ამის გამო საკვირველად ნუ მიგაჩნდებათ, რომ მაშინ ჩვენს ქჳეყანაში აღუვსებული ყოფილიყოს ჩვენი სიტყვიერება, მაგრამ ამას წინათ, ის წარსული ერთი საუკუნე დრო საქართველოში; (ცოტა მეტნაკლები იყოს ამისთჳს

ნუ განჰკიცხებთ) მანამ მძლიერი რუსეთი თავის მძლიერის კალთქვეშ მიგვიღებდა, და იყო დაუცხრომელი ბრძოლა მტერს საქართველოზედ, საშინელი გარეშე მტრებისაგან და ოთხსავე კუთხივ ებრძოდნენ ქართველებს, აუარებელი მტერს, მაგრამ სიმხნით მძლიერი და შიშისაგან შეურყეველი, სადაც ბრძოლის მოუსვენრობაში და დაუცხრომლობაში. მქონდათ ჩვენი წერილის სიტყვიერება ჩვენ წინაპართა, ცდილობდნენ ამისთვს. აი ეს არის საკვირველი, თორემ ის ბრძოლა რა საკვირველია. აი სახელები იმ ჩვენი სიტყვიერების წერილებისა: არჩილიანი, ვარდბულბულიანი, ქაცვიამწყემსი, დავრიშიანი, სიბრძნესიცრუისა, ლექსიკონი, ვარამანიანი, ბარამიანი, მირისამზავი, სარკე-თქმული, გულანშარიანი, ქართლისცხოვრება, სეხნია ჩხეიძის ისტორია, პაპუნა ორბელიანის ისტორია, მდივანბეგის ომან ხერხეულიძის ისტორია, ჩვენს ენაზედ დრამატიკა. კიდევსხვა წიგნები ანტონ ქათალიკოზისაგან დაწერილი, კიდევ სხვა და სხვაგნი ურიცხვნი-მცირედ მცირედნი ლექსები და ქართულის ენის სასწავლებელი. თელავში და ტფილისში ქართულ კომედიებსაც თამაშობდნენ მეფის ირაკლის დროში, რომლისაცა გამმართველი იყო გაბრიელ მაიორი სომეხი. შემიძლიან ესეცა ვთქო ასე თამამად, უწინდელს ჩვენს ქალებში, იმათი უსტარი მიწერ-მოწერა ერთმანეთთან, უპირველესი საგნი იყო ქართულის ენის სიტყვიერებისა, იმათი მდაბიური მიწერ-მოწერა ასეთი სხიამოვნო ქართული იყო, რომ მეტად საუცხოვოდ

გამოსთქმიდნენ თვისსა აზრსა, სადაც იმათი შტოებში დღესაც სჩვევვს, ახლანდელი ჩვენი ქალებისა მიწერ მოწერა: ვითარცა წარსრული ჩვენი ქალებისა და იმათი მიჩვავსი სიტყვიერება. ასე გაშინჯეთ, იმ საშინელების დროს, მეფმა ვახტანგმა რჯულიც დაწერა ჩვენი ქვეყნისათჳს და ხალხიც შეუჩვია ამ რჯულს.

ამასთან აქ გავჩუმდი. ვიფიქრე, რაკიცა თავი არ მოვაწყინო, ამ ჩემის ლაპარაკითა მეთქი, მაგრამ იმან გულმოდგინედ მთხოვა, ულევდი მეთქი და დამესრულებინა:

მე.—ჩემ ყმაწვილობაში, ბევრი კარგი ქართულის მცოდნე მინახავს ძველი ლარბაისლები, იმათ ხანგრძლივ საუბარი დიახ ხშირად გამიგონია: ასეთის ენით და ასეთის ტკბილ-საუბრით ულაპარაკნიათ ქართული, რომ მეტი სასიამოვნო უოფილა სმენისათჳს იმათი საუბარი. გამიგონია, მაგრამ ანდრიას უთქვამს, იმ განათლებულს.—«რავდენიმე ენები ვიცი, იმათ შორის ქართულიც კარგათა, ამისთჳს მე უფრო კარგად გავარჩევ ქართულს ლაპარაკს, მინამ თჳთ ქართველებიო, ქართული ლაპარაკი დიაღ სასიამოვნო ენა არის და ყურის სმენის დამატკბობელიო»—ეს ხომ ისე თქჳა, ახლა ამას ასე ვიტყოდეთ: რადგან ქართველი ვარ მე, იქნება ვცდებოდე ჩვენს ენაზე და ისეთი კარგი არ იყოს, როგორც ვამბობ მე, ამისთჳს როგორ უნდა შევიტყოთ, ნამდვილი ჩვენი ენის მადლი?—მისთჳს არის უცხო კაცის ყურების სასმენელი, თორემ მართლა ჩვენი ქვეყნის კაცს აგრერიგად არ დაეჯერება,

ამისთჳს რომ ჩუენს ქართულს ლაპარაკში აღზრდ-ილვართ, სადაც ჩუენი ყური დაჩუეულია იმაზ ყმაწჳლობითვე ჩვენს ქართულს ლაპარაკს და რასა-კვირველია კარგათ გეჩუენება ჩუენს სასმენელს, მაგრამ საქმე უცხო კაცია?—უცხო კაცთ უცხო ქვეყნის ლაპარაკს რომ გაიგონებს, იმას, უნდა ვკითხოთ და ის გვეტყვის სწორეთ. ჩუენი ქართუ-ლის ენისათჳს მიკითხავს: რუსისათჳს, ფრანცუზისათჳს, ნემეცისათჳს, იტალიელისათჳს და სხუანი, დაუფიქ-რებით მითხრან, როგორ სასიამოვნოთ ესმით ჩვენი ქართული ლაპარაკი იმათ სასმენელს?—რომელთაც გულის წმინდით უთქუამთ და დიდათ მოსწონებიათ. ახლა მაგალითებსაც გეტყვი: უგანათლებულესმა კნიაზ მ. ს. ვარანცოვმა, გინდ სიტყუა არიცოდა ქართული, მაგრამ გრძნობითვე დიდად ესიამოვნე-ბოდა. მისთჳს მოვგცა ქართული თეატრი და ქარ-თული სალიტერატურო ჟურნალი.—« აბა, მარადის გქონდეთ და თქუენის მამაპაპის ვარდის ენით ესი-ამოვნეთო.» იმისი აზრი ეს იყო, იმ დრომა განათ-ლებულის და გამოჩენილის კაცისა. კნიაზ ვარანცო-ვი მოჩვენება ან სიზმარი ხომ არ იყო! კნიაზ ვა-რანცოვი იყო დიდი გონების კაცი, სრული განვი-თარებული და სურდა ჭეშმარიტად ჩვენი კეთილი. —არვიცი? მაინც ვინიცობა არის, თუ აჯდენი ჩემი უბედობა, არ დაიჯერება, მაშ უცხო ქვეყნის კაცს, უფალს ბროსეტს მაინც ვკითხოთ და ის გვეტყვის ჩვენის ენისთჳს სწორედ?—აქ გა-ვჩუმდი, ყურებს დაუწყე, ვნახოთ რას მეტყოდა.

იმან ამაზედ თუმცა დიდი კმაყოფილება განმიცხადა, მაგრამ შემდეგ სხუა მითხრა.

ის. — ყოველი რაცა თქუით, დიახ კარგი, მაგრამ ესეა სამრახავათ, სასაცილოთაც მიგვაჩნია ბევრს, და გთხოვთ, ნუ გეწყინებათ ჩემი მართალის თქმა, რაც გნდა მე მინდა გითხრა.

მე — სწორე პირისპირი თქმა მოსაწონია და მადლობასაც მოგახსენებთ ამისთვის.

ის, — ქართულის ენისათვის, თქუენ რომ ამბობთ იმ რვეულში. «მუსაიფობის დროს დარბაისლობაში, მეტი დამატკბობელია ყურის სმენისათვის, ასე რომ სულამდისინ ჩაიჭრება ხოლმე იმის მადლი. ეს სულამდისინ ჩაჭრა რა არის? — და დიმილით დაიწყო.»

მე. — ეს რაც არის, გნდა მოგახსენებ. სულამდისინ ჩაჭრა არის: მოკვეცილი აზრი და ვრცლად გასაგონი, რაზედ მკითხეთ, უნდა ვიდეც განვიმარტოთ. ყოველი მდიერი საგრძნობელი საამოვნე, სულის შეხსენებაა; რომელსაც მდიერ ვგრძნობთ, მაშინვე გრძნობა სულს მიუტანს იმსაგვანსა, რაცა ვგრძნობით და სულიც მაშინვე მიიღებს. სულს ხომ ჭურჭი და მარცვლები არა აქუს; თქუენ რომ ბრძანებთ, იმ მმრახველებსავით, გრძნობამ საამოვნე სულში შე-ტანის და იქ დაასრულოს. არა, — ვერ თვალის მხედველობა, ანუ ყურის სმენა, გონებას მისცემს, თუ საგრძნობელი არარის, გონებაში დარჩება და თუ საგრძნობელია გრძნობა მაშინვე წაიღებს და სულს მიუტანს. იქიდგან ისევ წამოიღებს გრძნობა და ერთს წამში მთელს აგებულებას დაუვლის ადამი-

არს. ეს არის სულამდისის ჩაჯრა და ასე გასაგონი. ამ ჩემი მწყალობელო, რად გეჩვენებათ თქვენ სასაცილოდ «ს უ ლ ა მ დ ი ს ი ს ჩ ა ჯ რ ა.» როდ-გან პირველი გაგონება არის ეს თქმა, ამისთჳს ყოველი პირველი ამ გუარი თქმა, ყურისათჳს უცნაურია და სასაცილო. აბა ამ სიტყუას რომ იტყვიან: «ს უ ლ ი დ ა ტ კ ბ ა ო.» განა გვესიამო-ვნება? რა ვიცით ჩვენ? — პირველად, ეს რომ ით-ქმოდა, იქნება ამაზედაც ბევრი იცინეს? — მართლა სასაცილოც არის, აბა სული როგორ დატკბება, რომ სიამოვნე სულის დასატკბობად გაგვიკეთებია? სიტკბოს მხოლოდ პირი და ყელი იგემრიელებს და სულთან რა საქმე აქუს, მაგრამ არა, ყოველი კარგი რაც ითქმის, თუნდ იმისი კუთვნილი არ იყოს და იმას ეჩვენებოდეს, უნდა იმისად მოვიხმაროთ. ბოლოს ჩვეულებად დაგვრჩემდება და სასიამოვნოდ გვექნება მარადის.

ამ სიტყვაზედ იმან გაიცინა და მას უკან მითხრა:

ის. — ეგ ხომ აგრე, მაგრამ ერთს რასმე გთხო-ვთ, უნდა ის ჩემი თხოვა აღმისრულოთ და ამაზედ უარს ნუ მეტყვით?

მე. — თუ შესაძლებელია, ბატონი ბრძანდები?

ის — მერწმუნეთ არაფერია.

მე. — მაშ უთუოთ აღვისრულებთ.

ის. — რაც ეხლა ჩვენ ვილაპარაკეთ, აღწერეთ, და ცისკარში დაბეჭდინეთ. — თუმცა დაპირებული

აღუსრულე, მაგრამ დღევანდლამდინ არ ვიცი: რათ უნდა ჭ ან რისთჳს?

თ. ალ. ვახტანგის-ძე ჯ. ორბელიანი.

## სხუა და სხუა ამბავი.

ეს-ეს არის მივიღეთ ლექსი, შესახებ თ. ალ. ჩიქოვანისა, რომელსაცა ვბეჭდავთ დიდის კმაყოფილებით. გარდა ამისა გვიხარის, როგორცა სჩანს აქეთგან: ქართველნიცა თან და თან გრძნობენ ფასსა, ჭეშმარიტის მწერლისასა.

რედ.

## თ. ალ. ჩიქოვანზე.

ჵი საყვარელო ალექსანდრე გიორგის ძეო,
სქესით ჩიქოვან ბრწყინვალეო, ვით მნათი მზეო,
გონება ვრცელო, ენა მჭევრო და კეთილ ზნეო,
ტკბილ მოუბარო, მშვიდო, წყნარო, კალამში მხნეო!

საწუხარია მაგ გვარ მეგობრის დაშორება,
ფერცხალს მეს ასულთ მიანიჭე სიმწარე, ვება,

გულით მოწყლულთ ჰქონან გოდებანი და ურვა ძებნა,
როგორც წარმოგვსთქვა შენი კლება და გამოხვება

სიყრმით აქამდის ხშირად გვქონდა ტკბილი საუბარი,
მუხთალ სოფელმან გაგვყარა, მდის ცრემლთა ღვარი,
შენს საუბარსა, კეთილ ქცევას არ ჰქონდა ზღვარი,
ზენამ გიწყალოს და განგიღოს სუფევის კარი!

ვით ძვირფასია კაცს რა ჰქონდეს კეთილი ქცევა,
ხალხთ სიყუარული უშფოთველი და ღვთისა თნევა,
არ სამდურავი ლოცვას ჰყოფდნენ არ უქმნან წყევა,
ესე შენ გშვენის, მოგეწერების ქების შეფერქვევა.

ზეგარდამოსა არსებით ხარ შენ დიდებული,
მარჯვენეს დასში ღირსთათანა მმლეთ მიღებული,
რადგანც ამ სოფლის მოძმეთანა იყავ ქებული,
აწ საყვარელთა ცოლს და შვილთა გამოკლებული!

ზნეობით იყავ ტკბილად მეტყველი, ზრდილობით
მქცევი.
არვის გყვა მტერი, მაქებარი ბევრი გყვა მთნევი.
ამისთჳს მეცა მას გრუდუნებ ვით შემიმჩნევი,
ლმობით გიგონებ მარად შენთჳს ლოცვის ვარ
მფერქვევი!

ზაალ ზაალოვი.